ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 152

“ 26 ” დეკემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა №23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიემესისთვის“ (ს/ნ. 404895716) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა „ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა №23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიემესისთვის“ (ს/ნ. 404895716) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 დეკემბრის №25.2231.2523 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა №23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიემესისთვის“ (ს/ნ. 404895716) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 17 760 (ჩვიდმეტი ათას შვიდას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე